დამტკიცებულია სტუ-ს რექტორის
2025 წლის 21 მარტის MES 8 25 0000314422 ბრძანებით

დანართი 1

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი (შემდგომში - წესი), „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-4 მუხლით დადგენილი პრინციპების შესაბამისად, განსაზღვრავს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) აუდიომონიტორინგის მიზნებს და მოცულობას, აუდიომონიტორინგის ხანგრძლივობას, აუდიო ჩანაწერზე წვდომის, მისი შენახვისა და განადგურების წესსა და პირობებს, ასევე, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმებს.

მუხლი 2. უნივერსიტეტში აუდიო მონიტორინგის განხორციელების მიზნები

უნივერსიტეტში აუდიო მონიტორინგის განხორციელების მიზნებია:

ა) უნივერსიტეტის ცხელი ხაზის საშუალებით გაწეული მომსახურების მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი;

ბ) უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)), აგრეთვე, უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში შექმნილი კომისიების/სამუშაო ჯგუფების (მათ შორის, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვის მიზნებისათვის) სხდომების აუდიო დაოქმება, საოქმო ჩანაწერის წარმოება.

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 3. უნივერსიტეტში აუდიო მონიტორინგის მოცულობა

1. უნივერსიტეტის მიერ აუდიომონიტორინგი ხორციელდება უნივერსიტეტის ცხელ ხაზზე შემოსული ზარების ფარგლებში, რომლის მიზანია უნივერსიტეტის მომსახურებით დაინტერესებული პირებისთვის გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება.
2. უნივერსიტეტის მიერ აუდიომონიტორინგი ხორციელდება უნივერსიტეტის საქმიანობის სფეროში შექმნილი კომისიების/სამუშაო ჯგუფების (მათ შორის, კოლოქვიუმების, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვის მიზნებისათვის) სხდომებზე მომზადებული აუდიო ოქმების ფარგლებში.
3. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აუდიომონიტორინგის ფარგლებში ექცევიან უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, უნივერსიტეტის ცხელი ხაზის საშუალებით მომსახურების მიმღები სუბიექტები და უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში შექმნილი კომისიის/სამუშაო ჯგუფების წევრები.

მუხლი 4. აუდიო მონიტორინგის შესახებ გაფრთხილება

1. ცხელ ხაზზე შემოსული ზარების ჩაწერის დაწყებამდე ან დაწყებისთანავე, უნივერსიტეტის მიერ ხორციელდება ცხელი ხაზის საშუალებით მომსახურების მიმღები სუბიექტების ინფორმირება აუდიო მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ.
2. უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების, კოლოქვიუმის დაცვის მიზნებისთვის შექმნილი კომისიის/სამუშაო ჯგუფების სხდომის დაწყებამდე, შესაბამისი კომისიის/ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ ხორციელდება კომისიის/სამუშაო ჯგუფების წევრების და სტუდენტების ინფორმირება და ნებართვის მიღება სხდომების აუდიო დაოქმების შესახებ.

მუხლი 5. უნივერსიტეტში აუდიო მონიტორინგის ხანგრძლივობა, აუდიო ჩანაწერების შენახვის ვადა და განადგურების წესი

1. უნივერსიტეტში, ცხელი ხაზის საშუალებით მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში ხდება აუდიო მონიტორინგი და მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია მომხმარებლის მომსახურებისთვის საჭირო დროზე.
2. უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების, კოლოქვიუმის დაცვის მიზნებისთვის შექმნილი კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში ხდება აუდიომონიტორინგი და მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია სხდომის მიმდინარეობის დროზე.
3. უნივერსიტეტის ცხელ ხაზზე შემოსული ზარების აუდიოჩანაწერები ინახება 6 თვის ვადით.
4. უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში შექმნილი კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომის აუდიო ოქმები ინახება და ნადგურდება საარქივო წარმოების წესების შესაბამისად.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვისთანავე, აუდიო ჩანაწერები იშლება ავტომატურად, აღდგენის შესაძლებლობის გარეშე, თუ არ არსებობს მისი დაარქივების (შემდგომი შენახვის) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზანი და საფუძველი.

მუხლი 6. მონაცემთა უსაფრთხოება და მათზე წვდომა

1. უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია აუდიომონიტორინგის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება და მიღებულია ჩანაწერების უსაფრთხოების დაცვისთვის აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები.
2. ცხელ ხაზზე შემოსული ზარების აუდიოჩანაწერებზე, პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, წვდომის უფლებამოსილება ენიჭება: უნივერსიტეტის მარკეტინგისა და კომუნიკაციების ცენტრის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის პერსონალს მათთვის შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისთვის.

3. ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ აუდიოჩანაწერებზე წვდომის უფლებამოსილება აქვს უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში შექმნილი კომისიის/ჯგუფის სხდომის მდივანს და უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტის პერსონალს შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისთვის.
4. აუდიოჩანაწერის ასლის მესამე პირისათვის გადაცემა უნივერსიტეტის მიერ უნდა განხორციელდეს მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში. აუდიოჩანაწერის ასლი მესამე პირს უნდა გადაეცეს მხოლოდ შესაბამისი კანონიერი მიზნისა და საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებისათვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პრინციპების დაცვით.
5. უნივერსიტეტის მიერ მიღებულია ზომები ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით.

6.აუდიომონიტორინგის სისტემაზე დაშვება ხორციელდება მხოლოდ უფლებამოსილი პირების განპიროვნებული მომხმარებლის სახელითა და ინდივიდუალური პაროლის გამოყენებით.
7.უნივერსიტეტის თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან აუდიომონიტორინგის გზით მოპოვებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ და მათ მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით შემუშავებული ნორმების დარღვევა წარმოადგენს დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს.

მუხლი 7. უნივერსიტეტში აუდიომონიტორინგის განხორციელების პროცესში მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

1. უნივერსიტეტში აუდიო მონიტორინგის განხორციელებისას, მონაცემთა სუბიექტის (უნივერსიტეტში დასაქმებულები, სტუდენტების, უნივერსიტეტის ცხელი ხაზის მომსახურებით დაინტერესებული პირები, უნივერსიტეტის კომისიების/სამუშაო ჯგუფების წევრები) კანონით გათვალისწინებული უფლებები დაცულია.
2. მონაცემთა სუბიექტს, უნივერსიტეტში აუდიომონიტორინგის განხორციელებისას, მისი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, უფლება აქვს შეუზღუდავად გამოიყენოს უფლების დაცვის როგორც უნივერსიტეტში არსებული, ამ მუხლით გათვალისწინებული მექანიზმები, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სხვა საშუალება.
3. მონაცემთა სუბიექტს გარანტირებული აქვს უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა - მას შეუძლია სამუშაო დროს მიმართოს მონაცემთა დაცვის ოფიცერს კონსულტაციისთვის და უნივერსიტეტში აუდიო მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით.

4. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, შეუზღუდავად მიმართოს (მათ შორის ანონიმურად) უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს აუდიო მონიტორინგის განხორციელებისას მისი უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ და მოითხოვოს სათანადო რეაგირება. მონაცემთა სუბიექტს ასევე, შეუძლია, მისი უფლებების დასაცავად, დაუბრკოლებლად მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

5. აუდიომონიტორინგის თაობაზე უნივერსიტეტის იმ თანამშრომელთა წერილობითი ფორმით გაფრთხილება, რომელთა სამუშაო პროცესის/სივრცის აუდიომონიტორინგიც ხორციელდება სავალდებულოა დადგენილი ფორმის შესაბამისად (დანართი).

მუხლი 8. პასუხისმგებლობა

ამ წესის დარღვევისთვის პირს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესით და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მუხლი 9. ძალაში შესვლა

აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი ძალაში შედის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცების მომენტიდან.

დანართი

დასაქმებულის ინფორმირებული თანხმობა სამუშაო პროცესის/სივრცის აუდიომონიტორინგის განხორციელების თაობაზე

მე, ... (სახელი, გვარი, პ/ნ:) თანხმობას ვაცხადებ, რომ უნივერსიტეტის ცხელი ხაზით გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასების, სრულყოფისა და ჯეროვანი მონიტორინგის მიზნით განხორციელდეს მომხმარებლებთან ჩემი კომუნიკაციის აუდიომონიტორინგი.

ასევე, ინფორმირებული ვარ, რომ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე მაქვს თანხმობის გამოხმობის უფლება იმ ფორმით, რა ფორმითაც განვაცხადე ის.

ხელმოწერა:

თარიღი: